



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

Nº868

2016 წლის 12 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

სოფლებში მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრებისა და მუნიციპალიტეტიდან სხვა გასვლითი შეხვედრების მიზნით, გამგებლის ადგილზე არყოფნის გამო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ხელშეშლის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულ კორესპონდენციაზე და ამავე პროგრამის ფარგლებში გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე (ბრძანებებზე), გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, განხილვისა და ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს, გამგებლის მოადგილე ალექსი ჭანკოტაძეს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ „ა.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის N20 დადგენილების მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. მიეცეს უფლებამოსილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ალექსი ჭანკოტაძეს, განიხილოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის“ ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული კორესპონდენცია.

მუხლი 2. მიეცეს გადაწყვეტილების მიღებისა და ხელმოწერის უფლებამოსილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ალექსი ჭანკოტაძეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის“ ფარგლებში გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე, გარდა პროგრამით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 3. „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამით“ გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებზე, გადაწყვეტილებას მიიღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ამავე პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 12 აგვისტოდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს -ალექსი ჭანკოტაძეს, ყოველთვიურად გამგებლისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 6. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 იანვრის N7 ბრძანება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“.

მუხლი 7.ბრძანება მაღაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
მუხლი 8. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში
გურჯაანის რაიონულ სასამართლოში; შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.



გამგებელი

კარლო ჯამბურია